იერუსალიმის საპატრიარქოს განცხადება რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით ესტონეთში ახლახან მიღებული კანონის შესახებ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.05.2025. *2025 წლის 30 აპრილს იერუსალიმის საპატრიარქომ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე* ***გამოაქვეყნა განცხადება,*** *რომელშიც შეშფოთება გამოთქვა ესტონეთის რიიგიკოგუს (პარლამენტის) მიერ 9 აპრილს „ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ“ კანონში შეტანილ* ***ცვლილებებთან*** *დაკავშირებით. ქვემოთ ვაქვეყნებთ განცხადების თარგმანს.*

„რაᲛე კეთილ, ანუ რამე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაᲛ ძმათა ერთად!“

(ფს. 132:1)

ჩვენს ეკლესიაში ერთობის სულისკვეთებითა და სწრაფვით, იერუსალიმის საპატრიარქო გამოთქვამს შეშფოთებას ესტონეთის პარლამენტის (რიიგიკოგუ) მიერ 9 აპრილს ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ ახალი კანონის მიღების გამო, რომელიც ესტონეთის ეკლესიას აიძულებს, გაწყვიტოს კავშირი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს გადაწყვეტილება ეკლესია-მონასტრების უამრავ მორწმუნეს ეხება მთელი ესტონეთის მასშტაბით.

იერუსალიმის საპატრიარქო მტკიცედ იცავს უსაფრთხო და თავისუფალი ღვთისმსახურების უფლებას. იერუსალიმში ჩვენ მწვავედ ვაცნობიერებთ უსაფრთხოების მიზნით ღვთისმსახურებაზე დაწესებულ შეზღუდვებს, რომლებსაც ყოველწლიურად ვაწყდებით წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისას აღსრულებული ლიტურგიის დროს. არ არსებობს მიზეზი, რომ მშვიდობიანი ხალხის რელიგიური შეხედულებები და პრაქტიკები იარაღად იქცეს. ჩვენ მოვუწოდებთ ესტონეთის მთავრობას, გადახედოს ამ კანონს ესტონეთში მცხოვრები ყველა მორწმუნის საკეთილდღეოდ. ჩვენი ეკლესიისთვის კი ეს კიდევ ერთი მაგალითია ერთობის გადაუდებელი საჭიროებისა.

მსოფლიო დაიღალა კონფლიქტებისგან, და ამ დროს უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძალისხმევა გამოიჩინოს დიალოგისა და კურნებისათვის. ჩვენ ერთი სხეული ვართ, თუმცა ბევრნი ვართ, და ერთად უნდა ვიმუშაოთ, რათა ვიყოთ მშვიდობისმყოფელები, რომლებსაც კაცობრიობა გადაუდებლად საჭიროებს. ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, თუ განხეთქილება და დაპირისპირება ერთმანეთს გვაშორებს. იერუსალიმის საპატრიარქო აღიარებს ევროპასა და მთელს მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს, ტკივილსა და განხეთქილებებს ამ რთულ დროში და კვლავ მოუწოდებს დიალოგსა და შერიგებაზე დაფუძნებული ძმური მსჯელობებისკენ.

იერუსალიმის საპატრიარქო, შერიგებისა და მშვიდობის დამყარების საუკუნოვანი ძალისხმევის საფუძველზე, კეთილი ნებისა და შუამავლობის ხელს უწვდის ჩვენს ძმა-პატრიარქებს. მოდით, ერთად შევიკრიბოთ და დავთესოთ მშვიდობისა და კურნების თესლი, რათა დასრულდეს ტანჯვები და ხელი შევუწყოთ მართლმადიდებლური ოჯახის გამოჯანსაღებას.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93175/